ცნობის ფურცელი

№ 2287 ხუთშაბათი, 9 ოქტომბერი 1896—1903 ყოველ-დღიური გამოცემა № 2287

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მან., ცალკე თვეში 50 კ. ნომერი—3 კაპ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію **„Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“**. ტელეფონი № 372.

წარმოდგენა 6 **ქართული თეატრი** ტელეფონი № 617

ხუთშაბათს, 9 ოქტომბერს, 1903 წ. პირველი აბონიმენტი

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მი რ წარმოდგენილი იქმნება

I

უბედური ნაბიჯი

დრამა 3 მოქმ. კარეევისა, თარგ. შ. დადიანისა.

II

გაცრუებული იმედები

კომ. 2 მოქმ. ნ. აზიანისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი ტასო აბაშიძე, ნ. გაბუნია-ცაგარლისა, ნ. დავითაშვილი, ა. კარგარეთელი, ვ. როინელი, ნ. ჩხეიძე, ელ. ჩერქეზიშვილი, ნ. ჯავახიშვილი; ბ-ნნი: ვ. აბაშიძე, დ. აწყურელი, ვ. გუნია, ა. იმედაშვილი, ს. სვიმონიძე. კ. შათირიშვილი, შალიკაშვილი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

მზადდება წარმოსადგენად „ქმართა სკოლა“. რეჟისორი **აკაკი**

ტფილისის სახაზინო თეატრი. რუსული ოპერა.

ანტრეპრიზა მისის უდიდებულესობის სოლისტის ნ. ნ. ფიგნერისა.

ხუთშაბათს, 9 ოქტომბერს, 1903 წ., წარმოდგენილი იქმნება

კარმენ

ოპერა 4 მოქმედებად, მუსიკა ბიზესი.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი: კარტავინა, კარრი, ფედოროვა, ლელინა და სხვანი; ბ-ნნი: ფიგნერი, ილიუშჩენკო, გლადკოვი, სანგურსკი, გრინევი, გავრილოვი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. კაპელმეისტერი ე. ესპოზიტო.

ანონსი: 10 ოქტ. „გუგენოტი“, მეიერბერისა. 11 ოქტომბერს—წარმოდგენა გალა ფიგნერის მონაწილ. „ოპრიჩნიკი“, ჩაიკოვსკისა. მზადდება წარმ. „ფრანჩესკო და რიმინი“, ნაპრავნიკისა. (ნ.)

ამიერ კავკასიის რკინის გზის ჟურნალი

იღებს მთხოვნელთა და ყველა იმ პირთ, რომელთაც მასთან საქმე აქვს, რკინის გზებს მმართველობის შენობაში, **ოთხშაბათობით** ნაშუადღევის 1-ლ საათიდან 2-მდე. (3—ნ.—3)

ტელეფონი № 741 **დაარსების მიზანი** ტელეფონი № 741

საატფთიაქო საქონლით მოვაჭრე

ფარმაცევტთა ამხანაგობისა

იყო და არის

მხოლოდ საუკეთესო საქონლით ივაჭროს და მცირე სარგებლით კმაყოფილ იქმნეს. ამხანაგობა სცდილობს ყველა საქონელი სატახტო ქალაქების ფასებში ჰყიდოს, ამიტომ მყიდველთ ეთმო ა 5—10 პროცენტი ტფილისის ფასებთან შედარებით. სწორედ ამ მოსაზრებით, რომ საქონელი გაიიაფოს, ამხანაგობამ დაიქირავა მაღაზიები **არა გამოსაჩენ ადგილზე** კავკასიის მუზეუმის პირდაპირ, „სევერნი ნომრების“ ქვეშ.

ადრესი ფოსტისა: Тифлисъ, Товарищество Фармацевтовъ. ადრესი ტელეგრამისა: Тифлисъ, Фармацевтика.

ტფილისის

კერძო სამკურნალო

მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

ვ. ჭიჭინაძე—კბილისა, 8—10 საათამდე.

ლ. ივ. კამოევი.—საშარდეს, ვენერ. სიფილ 10 ს.—11-მდე.

ნ. ტ. მულინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის 9—10 საათამდე.

ი. პ. ახალშენიშვილი. კბილისა, 10 ს. 11 ს.

ა. გ. შალალაშვილი.—ბავშვებისა და შინაგ. 10—11 საათ.

ლ. მ. მონინი.—ქალისა, საბებიო და ბავშ. (შემოწმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირაობით 11—12 საათამდე.

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

ექ. ქალი მ. კ იოსელიან.—ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12 1 ს.

გრ. ვ. სოგოლევსკი.—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშ., პარასკ. და შაბათ. 1—2 საათამდე.

ვ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვების, კვირაობით 10—12.

სადამოთი:

ა. გ. მალალაშვილი.—შინაგ., ბავშ., ყვავილის აცრა და მიკროქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს.

სამკურნალოს აქვს ოცი საწოლი კრავატი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. კრავატები სამი მანეთიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9, ჰიხეილის ქუჩიდან-კი 34 Б.

(წლ.) **ტელეფონი** № 274.

დამყნილი სანერგე

ამერიკული ვაზისა

ამით ვაცხადებ, რომ მსურველთ შეუძლიანთ დაიკვეთონ ამ თავითვე ნამყენები და აგრეთვე მიიღონ დაბეჭდილი ცნობები სანერგის შესახებ.

ადრესი: Квирилы, Георгію Михайловичу Чивадзе (10—1718—6)

კბილის ექიმი

ი. პ. ახალშენიშვილი

(ელისაბედის ქუჩა, № 38).

იღებს ავადმყოფებს დილის 9—2 საათამდე. საღამოობით 5—7-მდე, ხოლო კვირა-უქმეობით 9—1-მდე და საღამოობით 5—7-მდე.

ექიმი

ვ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 1—3 საათ., საღ. 6—7. წყნეთის ქუჩა, № 24 სახლი ვაჩნაძისა. (წლ.)

ნაფიცი ვექილი

გვაზავა

გადავიდა: ფრეილინის ქუჩაზე, № 15. (4—3)

სიბრძნე-სიცრუე

ახალი გამოცემა

იყიდება ქართველთა ამხანაგობის კიოსკში.

ერევნის მოედანზე, ხარაზოვის სახლში

1 ნოემბრიდან ქირავდება

4 ოთახიანი ბინა.

პირობები იკითხეთ როინაშვილის ფოტოგრაფიაში. (უ. 3—2)

ქართველ-ქალთა საზოგადოების

სამკერვალოში

პირველ ოქტომბრიდან დაიწყო **საღამოს კურსები ჭრა-კერვისა** ინტელიგენტ ქართველ-ქალთათვის.

ვერა, მოსკოვის ქუჩა № 6

ცინკოგრაფია

წიგნებ. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა

ვანქის დიდი ქუჩა, № 27, ტელეფონი № 372.

კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფიულ სურათებიდან და ხელით ნახატებიდან.

საზღვარ-გარედ

იაპონია. დეპეშიდან გეცოდინებათ, ამასწინად იაპონიის ელჩმა ბარონმა გაიაშიმ გამოუცხადა გაზეთების თანამშრომლებს: იაპონიის მთავრობამ შემატყობინა, შორეულ აღმოსავლეთში მშვიდობიანობა არ დაირღვევაო. ამის მეტი სხვა ამბავი არა მომსვლია რა უკანასკნელ სამის კვირის განმავლობაშიო. ამ სიტყვებმა ძლიერ დაამშვიდეს ევროპის პოლიტიკოსთა წრეები. ინგლისური პრესა-კი მაინც წინანდებურად ყოველ დღე ომს მოელის. „კელნიშე ცაიტუნგ“-ს სწერენ ლონდონიდან: „ინგლისის საზოგადოება მეტად აღელვებულია. იაპონიის ელჩის განცხადებამ ვერავინ ვერ დაამშვიდა. ელჩის სიტყვებს ყველა როგორც უნდა, ისე ჰხსნის. მით უფრო ელიან ომსა, რომ იაპონიიდან მეტად მცირე ცნობა მოდის“. მართალია ბოლოს დროს ბევრი ირწმუნება, არაფერი ომი არ ასტყდება, რუსეთი და იაპონია ადვილად მორიგდებიანო, მაგრამ ინგლისური გაზ. „მორნინგ პოსტ“-ი მაინც ირწმუნება, ჯერ გულს ნურავინ ნუ დაიარხეინებს, იქნება მალე ომი დაიწყოსო: 10 ოქტომბერს (ახალის სტილით) პორტ-არტურიდან რუსეთმა 90 ხომალდი სადღაც გაჰგზავნაო. ხომალდებმა ბევრი ზარბაზანი წაიღეს თანაო. არავინ იცის, ეს ხომალდები საით წავიდნენო. 11 ოქტომბერს (ახალის სტილით) ამ გაზეთს შემდეგი დეპეშა მოჰსვლია ჩიფუდან:

„ახალი ამბავი არა მომხდარა-რა. პორტ-არტურში მშვიდობიანობაა, მაგრამ მაინც ჰფიქრობენ, რომ მალე ომი დაიწყებაო. ირწმუნებიან, ვითომ რუსები 3 ოქტომბერს ომს დაიწყებენო. ჩინელი ვაჭრები იალუს ველსა სტოვებენ და ჩიფუს მიდიან“.

3 ოქტომბერი რამდენი ხანია გავიდა, მაგრამ რუსეთმა ომი არ გამოუცხადა იაპონიას.

◆ იაპონელებს მტკიცე იმედი აქვთ, რომ ინგლისი და ამერიკა უსათუოდ დახმარებას გაუწევენ იაპონიას, თუ ვინიცობაა, რუსეთთან ომი მოუხდა.

ერთ იაპონელ დიპლომატს ტ.—ს ვისბადენში (გერმანიაში) უთქვამს ფრანგულ გაზ. „პატრი“-ს თანამშრომლისათვის: „რუსეთს მარტოდ-მარტო როდი ვეომებით, ამ ომის ხარჯს მარტო ჩვენ როდი ვიკისრებთ.—თუ პირველშივე კარგად გავიმარჯვებთ, უსათუოდ ფულსაც მოგვცემენ და ჯარითაც დაგვეხმარებიან.

— ვისის დახმარების იმედი გაქვთ?—უკითხავს მოსაუბრეს.

— თქვენა გგონიათ, რომ ინგლისი და შეერთებული შტატები რუსეთის ბატონობას შორეულ აღმოსავლეთში გულ-გრილად უცქერიან, განა?“

◆ ბოლოს დროს გერმანულმა ოფიციოზურმა გაზეთებმაც ხმა ამოიღეს შორეულ-აღმოსავლეთის საქმეზე და იაპონიის მხარე დაიჭირეს. მართლაც და რუსეთი მეტად კადნიერად იქცევა მანჯურიასა და კორეიაში და იაპონიის კანონიერ ინტერესებს სულ არაფრად აგდებსო,—სწერენ გერმანული გაზეთები.

ინგლისური გაზ. „მორნინგ პოსტ“-ი ამტკიცებს, გერმანიას გულით სწადიან, რომ შორეულ აღმოსავლეთში ომი მოხდესო. გერმანიას იმედი აქვს, რომ ამ ომის შემწეობით თითონაც ახალ ადგილებს დაიჭერს ჩინეთშიო.

◆ იაპონელებს, მომეტებულ ნაწილად, გულით სწადიანთ რუსეთთან ომი. ომის მომხრენი დარწმუნებულნი არიან, რომ რუსეთთან ომი ადვილი და სასარგებლო საქმე იქმნება, რუსეთის დამარცხება არ გაუჭირდება იაპონიასაო. ზღვაში უსათუოდ ვაჯობებთ რუსებს, რადგან უკეთესი და უფრო სწრაფად მოსიარულე ფლოტი გვყავს და უფრო ძლიერი და შორს მსროლელი ზარბაზნები გვაქვს გემებზე, ვიდრე რუსებსაო. გემებიც სულ ერთნაირი გვაქვს. ამ მხრივ ჩვენი ფლოტი ყველა სახელმწიფოს ფლოტს აჯობებსო. რაკი ზღვაში გავიმარჯვებთ, კორეიასა და მანჯურიაში ჯარის მიყვანა და სურსათის ზიდვა აღარ გაგვიჭირდება. ომის მომხრე იაპონური გაზ. „ნიში-ნიში“ დარწმუნებულია, რომ ომი მარტო ჩინეთისა და რუსეთისათვისაა საშიშიო; ჩინეთი ომის შემდეგ დაიშლება, რუსეთს კიდევ შორეულ-აღმოსავლეთში ნაშოვნ ადგილებსა და დაწყებულ საქმეებზე ხელს აღებინებენო.

ომის მოწინააღმდეგენი ამტკიცებენ, იაპონიის ჯარს მანჯურიასა და კორეიაში სურსათის ზიდვა მეტად გაუჭირდება, რადგან იქ მეტად უხეირო გზებიაო. რუსეთის წინააღმდეგ სულ მცირედ 8 დივიზია ჯარი მაინც უნდა გავგზავნოთო. თუ ომი გაგრძელდა, დიდი ზარალი მოუვა იაპონიასაო. რუსეთის მთავარ-სარდალიც უსათუოდ გააჭიანურებს ომსა და ამით საქმეს გაგვიჭირვებსო.

ინგლისი. დიდ ამბავშია ჩემბერლენი; საკვირველ მხნეობას იჩენს და ყოველნაირად ცდილობს, ინგლისის ერს თავისი სატამოჟნო პროექტი მოაწონოს. გლასგოს შემდეგ კიდევ რამდენსამე ადგილას ილაპარაკა შოტლანდიაში (გრინოკში წარმოთქმული სიტყვა ჩვენ მოკლედ გვქონდა მოხსენებული) და თავის მამულ გაიბიურში დაბრუნდა, ცოტას შეისვენებს და მალე ინგლისის ქალაქებში წარმოსთქვამს სიტყვებს.

ამას გარდა ჩემბერლენი ყოველ შემთხვევით სარგებლობს, რომ ხალხს თავის აზრები გააცნოს და მოაწონოს. 25 სექტემბერს ერთს თავის ნაცნობთან სოფელში წასულა. რკინის გზის სადგურ კოპარზე რომ გადმომხტარა,—აქედან ეტლით უნდა წასულიყო სოფლისკენ—ადგილობრივ უნიონისტების დეპუტაცია მოჰგებებია. ჩემბერლენს ეთქვა დეპუტაციისათვის: „მუშა ხალხის დახმარებას მე სხვაზე ძლიერ ვაფასებ. მუშა ხალხის დახმარებით ბევრი საქმეები გავარიგე. უმუშა-ხალხოდ ვერას გავხდები. იმედი მაქვს, რომ მუშები ეხლაც კვლავინდებურად დამეხმარებიან. თუ ჩემი პროექტი არ გავიდა, მუშა ხალხი დიდ გაჭირვებაში ჩავარდება: სამუშაო ქირა შეუმცირდებათ და საქმე დააკლდებათ. თუ ეხლანდელი სატამოჟნო წესები არ შეიცვალა, ინგლისის მუშებმა ორში ერთი უნდა აირჩიონ: ან მცირე ქირას უნდა დასჯერდნენ, ან სხვა ქვეყნებში გადასახლდნენ.

მართალია ჩემბერლენი იჩენს დიდ მხნეობას, მაგრამ არც თავისუფალ ვაჭრობის მომხრენი არიან გაჩუმებულნი. ფინანსთა მინისტრად ნამყოფმა უნიონისტმა რიჩიმ, ლიბერალებმა ასკიტმა და ბრაისმა სიტყვები წარმოსთქვეს პროტექციონიზმის წინააღმდეგ და ბალფურისა და ჩემბერლენის სატამოჟნო პროგრამა ერთხმად დაჰგმეს.

25 სექტემბერს თავისუფალ ვაჭრობის მომხრე უნიონისტებმაც კრება მოახდინეს და დაადგინეს, თუ პურსა და სანოვაგეს ბაჟები დაედო, ინგლისის ღარიბ ხალხს დიდი გაჭირვება დაადგებაო. ამიტომ ჩემბერლენის პროექტს დიდი წინააღმდეგობა უნდა გავუწიოთო.

იმავ დღით გლასგოში ბრიტანიის მადნის მუშების ფედერაციამ კრება მოახდინა და 89 ხმით 5 წინააღმდეგ ჩემბერლენისა და ბალფურის საფინანსო პოლიტიკა დაჰგმო. ხსენებული 89 დელეგატი 847 მუშის წარმომადგენელი იყო.

კობდენის თავისუფალ ვაჭრობის მომხრე კლუბის მდივანს მეორე წერილი მაუწერია ჩემბერლენისათვის. მდივანი სწერდა თურმე: თქვენი უკანასკნელი სიტყვა რომ წარმოსთქვით, რამდენსამე საგანზე შეეკითხეთ

კობდენის კლუბს და პასუხი მოსთხოვეთ. კლუბი დიდის ხალისით გიპასუხებთ, მაგრამ ჯერ თქვენგან ველით პასუხს. ერთს წერილში თქვენ ამტკიცებთ, „კობდენის კლუბს მომეტებულ ნაწილად უცხოელები უჭერენ მხარსაო“. მე მაშინვე წერილი მოგწერეთ და ეს ცილის-წამება დავარღვიე. თქვენ არაფერი პასუხი არ მომეცით ამაზე. 26 სექტემბერს, სანამ გლასგოში სიტყვას წარმოსთქვამდით, ხელმეორედ წერილი მოგწერეთ და გთხოვეთ, ან თქვენი ბრალდება დაგემტკიცებინათ, ან ბოდიში მოგეხადათ; ამას გარდა, მე გთხოვეთ, მობრძანდით და კლუბის წიგნები გასინჯეთ-მეთქი. გახსოვდეთ, რომ სრული 16 წელიწადი ამ კლუბის წევრად იყავით. გლასგოსა და გრინოკში რომ სიტყვები წარმოსთქვით, კობდენის კლუბი კიდევ რამდენჯერმე ახსენეთ და იმის მიგიერ, რომ ბოდიში მოგეხადათ, თქვენ მეორედ ცილი დასწამეთ კლუბსა. ამიტომ კიდევ ერთხელ გთხოვთ, ეგ ცილისწამება ან დაამტკიცოთ საბუთებით, ან ბოდიში მოიხადოთ“.

ლიბერალურ ოპოზიციის წინამძღოლმა კემბელ-ბანერმანმაც წერილი დაჰბეჭდა გაზეთებში და ჩემბერლენის სატამოჟნო პროექტი სასტიკად გაჰკიცხა. ეხლა გამოჩენილ ლიბერალ მოღვაწეს და პირველ მინისტრად ნამყოფს ლორდ როზბერისაც გამოულაშქრნია ჩემბერლენის წინააღმდეგ.

ავსტრო-ჰუნგრეთი. ჰუნგრეთის სამინისტროს კრიზისს ჯერაც არა ეშველა რა. სამინისტროს შედგენა ვერც ერთმა გამოჩენილმა მოღვაწემ ვერ გაჰბედა. ეხლა კი ვენაში იმედი აქვთ თურმე, ჰუნგრეთის კრიზისს მალე ბოლო მოეღებაო. ჰუნგრეთის ლიბერალურ პარტიის გავლენიანი წევრები პირობას იძლევიან, ყოველ ღონეს ვიღონებთ, რომ მთელი ლიბერალური პარტია შევაერთოთ და სამხედრო რეფორმების გარკვეული პროგრამა შევადგინოთო. მაშინ იქნება ფინანსთა მინისტრმა ლუკაჩმა დროებითი კაბინეტი მაინც შეადგინოს და ეხლანდელ კრიზისს როგორმე ბოლო მოეღოსო.

ახალი ამბავი

◆ „კანონთა კრებულ“-ში გამოქვეყნებულია ბრძანება ქალ. **ალექსანდროპოლში გაძლიერებულ დაცვის** წესების შემოღების შესახებ.

◆ როგორც „პრავ. ვესტ.“-ში გამოცხადებულია; **ბათუმსა და ახალციხეს შორის** მოეწყო ახალი საფოსტო მიმოსვლა. სადგურები გაიმართა შემდეგ ადგილებში: ბათუმსა, აჭარ-წყალსა, ქედასა, ხიჩაურსა, ხულოსა, ნანუზ-ოღლში, ყანლინსა, ზარზმასა, ბენარსა და ახალციხეში. სიგრძე ამ საფოსტო გზისა 166 ვერსია.

◆ **ტფილისის გუბერნატორი** ბ-ნი სვეჩინი საზღვარ-გარეთიდან ტფილისს დაბრუნდა.

◆ გუშინ ტფილისის სასანიტარო-სამკურნალო საბჭომ ქალაქის გამგეობას წარუდგინა მოხსენება **მშობიარეთათვის თავ-შესაფარის დაარსების** საჭიროების შესახებ. სასანიტარო-სამკურნალო საბჭო ამბობს, რომ ამ თავ-შესაფარის დაარსების გარდა, საჭიროა მოეწყოს საბებიო და საგინეკოლოგიო დახმარება. ამისათვის საჭიროა ქალაქი გაიყოს ორ ნაწილად და მშობიარეთა მოვლა-პატრონობა დაევალოს ორს ექიმ ქალს და 5 ბებია-ქალს. ერთ ექიმ-ქალს უნდა ჩაჰბარდეს პოლიციის 1, 2, 3, 4, 9 და 10 ნაწილები, მეორეს 5, 6, 7 და 8 ნაწილები; მშობიარეთა სახლი უნდა გაიმართოს, სასანიტარო-საბჭოს აზრით, მეტეხის ციხის აღმართსა და კახეთის მოედანს შუა. ამ თავ-შესაფარში იქმნება ერთი ექიმი, 2 ბებია-ქალი და 10 მოსამსახურე ქალი. თავშესაფარს ერთხანად დასჭირდება 3000 მან., ხოლო წლიურად 8037 მან. საბჭომ ამ მოხსენებასთან ერთად წარუდგინა გამგეობას პროექტი იმ სავალდებულო დადგენილებათა, რომლითაც უნდა იხელმძღვანელონ როგორც ექიმმა და ბებია-ქალებმა, ისე თავშესაფარის გამგემ.

◆ როგორც „ნოვ. ობოზ“.-ს ატყობინებენ, 30 სექტემბერს **მოუკლავთ** ახალციხის მაზრის სოფელ კორსის მღვდელი ტერ-ხაჩატურ ოკსუზიანცი. მკვლელის ვინაობა ვერ გაიგეს.

◆ სოფ. წალენჯიხიდან (ზუგდიდის მაზრა) გვატყობინებენ: „აქ გვესტუმრა მაზრის უფროსი მოკლულ **თავ. ილ. დადიანის მკვლელობის** გამოსაძიებლად. დაიბარა ჯგალის საზოგადოება და მთელი ორი დღე იძიებდა საქმეს. ბოლოს შეადგინა განაჩენი, რომლის ძალითაც რამდენიმე კაცი პასუხის გებაში მისცა. 12 კაცი თვით სოფელმა დაასახელა.

◆ ამას წინად **ტფილისის მოქალაქეთა** რწმუნებულების კრებამ განიხილა მოხსენება კომისიისა. მოხსენება შეეხება დარჩენილ გარდასახადის მოკრებას. კრებამ მიიღო კომისიის მიერ შემუშავებული წესი: იმათ, რომელნიც ჩაირიცხებიან მოქალაქეებად, გამგეობას გადასახადების უზრუნველ საყოფლად უნდა წარუდგინონ: შეძლებულებმა 30 მან., საშუალო შეძლებისამ—20 მ. ხოლო ღარიბმა 5 მან. ვინც დროზე გადასახადს არ შეიტანს, იმას ბედან დაუჭერენ ფულს. გუბერნატორს ეს დადგენილება არ დაუმტკიცებია. გუბერნატორი ატყობინებს მოქალაქეთა მოურავს, რომ 1898 წლიდან საკომლო გადასახადის ნაცვლად შემოღებულია სახელმწიფო საერობო გადასახადი, რომელსაც ქალაქის მცხოვრებნი არ იხდიან, ხოლო სხვა გადასახადების მოსაკრებად საკმარისია ის საშუალებანი, რომელთაც კანონი აძლევს მოქალაქეთა გამგეობას. რაც შეეხება ბეს, გუბერნატორს საჭიროდ უცვნია იგი არ აღემატებოდეს 10, 5 და 3 მანეთს.

◆ 8 ოქტომბერს **პეტერბურგს გაემგზავრა** ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსი ი. კ. ივანოვსკი მომავალ წლის ხარჯთ-აღრიცხვის დასამტკიცებლად.

◆ გუბერნატორმა დაუბრუნა ტფილისის **მოქალაქეთა გამგეობას** რწმუნებულთა კრების 31 მაისის დადგენილებათა ოქმი, ამასთან შეატყობინა, ამ დადგენილებებს არ დავამტკიცებ, რადგან რწმუნებულთა კრებამ სხდომაზე განიხილა სევანოვის საჩივარი გადასახადთა მამასახლისის წინააღმდეგ, რის უფლებაც კრებას არა ჰქონდაო.

◆ გუშინ, 8 ოქტომბერს, ტფილისის ქალაქის გამგეობამ მიიღო საგუბერნიო საამშენებლო გამგეობის მიერ დამტკიცებული გეგმა **ელექტრონის ტრამვაის** დახურულვაგონებისა.

◆ როგორც „კავ.“-ს ოფიციალურ ნაწილშია გამოცხადებული, ქალაქის მე-5 ნაწილის **ბოქაული ზაზულევიჩი** ავადმყოფობისა გამო დათხოვნილ იქმნა თანამდებობიდან.

◆ პოლიციის მე-3 ნაწილში, 7 ოქტომბერს, ქუთაისის გუბერნიის სოფ. ჭალის მცხოვრებმა მაქსიმე აბაშიძემ განაცხადა, ვიღაც ქურდმა ღამე სხვა-და-სხვა ნივთები მომპარაო.

—

„ცნობ. ფურც.“ დღევანდელ №-თან ხელის-მომწერთ ეგზავნებათ **სურათებიანი დამატების** მე-157 ნომერი შემდეგის შინაარსით: „პირველ კლასის მგზავრი“, მოთხ. ან. ჩეხოვისა, თარგ. ი. პ—ვისა. სურათები: „როგორ კითხულობენ გაზეთებს პარიზში“ (ორი სურათი) და კარიკატურები.

ქუთაისის ახალი ამბები

◆ ქალაქის მოურავს დ. ა. ლორთქიფანიძეს წერილი მოსვლია პროფესორის ვ. მ. პეტრიაშვილისაგან, რომელიც აცნობებს, ეხლა ყოვლად შეუძლებელია ჩემი ჩამოსვლა ქუთაისში საქიმიო ლაბორატორიის საქმის შესახებ მოსალაპარაკებლად, და თუ მაინცა-და-მაინც საჭირო ვიქნები, დეკემბრის პირველ რიცხვებში ჩამოვალო. ამასთანავე პატივცემული პროფესორი სწერს ქალაქის მოურავს, თუ გეჩქარებათ საქმის დაწყება, იმ შემთხვევაში სადმე ორი ოთახი უნდა დაიქირაოთ და დროებით მოაწყოთ ისე, რომ მუშაობის დაწყება შესაძლებელი იქმნეს, და იმავე დროს ხელი მიჰყოთ ლაბორატორიისთვის საკუთარ შენობის აგებასაცო; თან საჭიროდა სცნობს, რომ შენობის აგებასა და მოწყობას თვალ-ყური ადევნოს ქიმიკოსმა, რადგან არქიტექტორს არ შეუძლიან ხეირიანად მოწყობაო. საჭიროდ სცნობს აგრეთვე, რომ ლაბორატორიასთან აგებულ იქმნეს მოსამსახურეების სადგომი სახლიც, იმ პირობით-კი, რომ ყველამ იხადოს ქირა. წერილთან ერთად ბ-ნი პეტრიაშვილი უგზავნის ქალაქის მოურავს ლაბორატორიის სქემატიურ გეგმას. პ. ი. კოკოჩაშვილმა განცხადება შეიტანა ქალაქის გამგეობაში. წინადადებას აძლევს გამგეობას, საქიმიო ლაბორატორიის შენობის ასაგებად შეიძინოს იმისი ადგილი, მდებარე ჰოსპიტლის ქუჩაზე, რიონის მარჯვენა ნაპირზე. ეს ადგილი სივრცით 300 ოთხ-კუთხი საჟენი ყოფილა და პატრონი 6,000 მანეთად აფასებს.

ქუთაისის ქალაქის საბჭო

6 ოქტომბერს საბჭომ მოისმინა დიდის მთავრის ნიკოლოოზ მიხეილის ძის დეპეშა, რომელიც მოუვიდა მოურავს პასუხად საბჭოს მიერ გაგზავნილ დეპეშისა. შემდეგ საბჭომ ქალაქის მოურავის წინადადებით პატივი სცა ფეხზე წამოდგომით სომეხთა განსვენებულ ბლაღოჩინ-დეკანოზის დავით ტერ-იარალიანცის ხსოვნას. ქალაქის მოურავმა მოახსენა საბჭოს, რომ გამგეობას, საბჭოს დადგენილების თანახმად, მოლაპარაკება ჰქონდა მიწის მზომლებთან საღორიის აგარაკის დაგეგმვის და საეზოებად დაყოფვის შესახებ და აღმოჩნდა, რომ ამ საქმისათვის საჭიროა 1200 მანეთიო და სთხოვა ქალაქის საბჭოს, მომავალ წლის ხარჯთ-აღრიცხვაში შეტანილ იქმნას ეს 1200 მანეთი. საბჭომ ერთხმად მიიღო გამგეობის წინადადება და დაავალა, აგარაკის გეგმა ისე იქმნას შედგენილი, რომ მთელის ქალაქის გეგმის შედგენის დროს ხელახალი შრომა აღარ იყოს საჭირო აგარაკის დასაგეგმავად. ამისთვის გეგმაში აღნიშნული უნდა იყოს როგორც მთელის აგარაკის საზღვრები, ისე ყოველი საეზოვე ადგილი; უნდა გაკეთდეს სწორი და ფართო ქუჩები (10 საჟენი სიგანით); დატოვებულ იქმნას თავისუფალი ადგილი მოედნებისა, ეკკლესიისა და სკოლისთვის და სხვა.

შემდეგ საბჭომ მ. ლაღიძის თხოვნასთან ერთად განიხილა ი. აბზიანიძის თხოვნაც. უკანასკნელი თხოულობდა, საბჭომ ნება მისცეს ქალაქის ბაღში არსებული ბუდკები დააქციოს და იმის ნაცვლად ააშენოს ახალი კიოსკები მინერალურისა და ხილეულის წყლების გასასყიდად. თხოულობდა, ქალაქმა დაუთმოს კიოსკების წინ ოთხ-ოთხი საჟენი თავისუფალი ადგილი რკინით გადახურულ ხის ფარდულების გასაკეთებლად, სადაც შესაძლებელი იქნება წვიმისა და სიცხის დროს თავი შეიფაროს 60—100 კაცმა. კიოსკებში უფასოდ საკითხავად უნდა იყოს ადგილობრივი რუსულ-ქართული ჟურნალ-გაზეთები და „პეტერბურგსკი ვედომ“-ი. წელიწადში ბ-ნმა აბზიანიძემ უნდა იხადოს ქალაქის სასარგებლოდ 300 მანეთი. ათი წლის შემდეგ კი ეს კიოსკები მოწყობილებით უნდა დარჩეს ქალაქს. ქალაქის გამგეობას აბზიანიძის თხოვნა ბ-ნ ლაღიძის თხოვნასთან ერთად გადაუცია განსახილველად ქალაქის საამშენებლო კომისიისათვის, რომელსაც თავის მხრით უპირატესობა მიუცია ლაღიძის წინადადებისათვის და შესაძლებლად უცვნია იმისი დაკმაყოფილება პირობის მცირე ცვლილებით. საბჭომ, ხანგრძლივის კამათის შემდეგ, 18 ხმის უმეტესობით 7 წინააღმდეგ დაადგინა: აიკრძალოს

ფელეტონი

წერილები ლონდონიდან

XVI

საფინანსო და საპოლიტიკო კრიზისი.—
რა გუნებაზეა ლონდონის საზოგადოება?

თქვენის თვალით უნდა გენახათ ლონდონის ბირჟის ოსტატების დაღვრემილი და დაგრძელებული სახე, რომ გაგეგოთ, თუ რა დიდი საზოგადოებრივი და საფინანსო კრიზისი დაატყდა თავს ლონდონსა. 1866 წელს აქეთ ჩვენის კონსოლების (სახელმწიფო ქაღალდების) ფასს ჯერ ასე დაბლა არ დაუწევიაო!—სასოწარკვეთილებით მეუბნებოდა ერთი ინგლისელი საქმის კაცი. ოღონდაც რომ მართალს ამბობდა: წარსულ სამშაბათს ბირჟაზე კონსოლები $86\frac{1}{2}$-ად ფასობდა. სამხრეთ-აფრიკის ომამდე კი კონსოლები 110 და 111-ად გადიოდა. ეს რა ამბავია?—გაკვირვებით ჰკითხულობენ ინგლისელები. ამერიკის ბირჟა რომ შეირყა, იმისი ბრალია, თუ სამხრეთ-აფრიკის ომის საშინელმა ხარჯებმა გამოიწვია ეს კრიზისი?

ამ კრიზისის მიზეზი სულ ადვილი გასაგებია. ფოლადის ტრესტი (პირპონ მორგანის ტრესტია) ამერიკაში შეირყა და მრავალი მილიონი იზარალა; ტრანსვაალის ომის წყალობით ინგლისის სახელმწიფო ხარჯმა და ვალმა იმატა (ეხლა ინგლისს 2 მილიარდი და 800 მილიონი ვალი აქვს). ყველა ამის წყალობით ინგლისს დიდი კრიზისი დაატყდა თავს. მაგრამ საფინანსო კრიზისი პოლიტიკურმა კრიზისმა უფრო გააძლიერა. პროტექციონისტებს (ბაჟების დაწესების მომხრეთ) პირველად ბირჟამ გააგებინა, თუ რა საშიშ საქმედ მიაჩნიათ ინგლისელებს სატამოჟნო წესების შერყევა. ამის შემდეგ ბირჟამა და სიტიმ (ლონდონის უბანია, სადაც სულ ფინანსისტები და ბანკირები სცხოვრობენ) ახალ ლორდმერად თავისუფალ ვაჭრობის დამცველი, სამსახურიდან გადამდგარ ფინანსთა მინისტრის რიჩის ძმა აირჩიეს და ამით მთავრობას აშკარად დაანახვეს, რომ ბირჟა და სიტი თავისუფალ ვაჭრობის მომხრენი არიან. როჩილდმა გულ-უბრყვილო ბავშვივით გაიკვირვა: ვერ გამიგია, რა მიზეზია რომ ჩვენის კონსოლების ფასი ასე დაეცაო, ეს სულ მოულოდნელი ამბავიაო! მაგრამ ეხლანდელ სამინისტროს მეგობრის გაკვირვება არავინაც არ დაიჯერა. ბირჟამა და სიტიმ სწორედ იმ დღეს გააფრთხილეს კრიზისის ნამდვილი მიზეზი—მთავრობა, რა დღესაც სამინისტროს მეთაურმა ბალფურმა სიტყვა წარმოსთქვა და გამოაცხადა: მე და ჩემბერლენმა გადავსწყვიტეთ, ინგლისში ისევ პროტექციონიზმი და პურის კანონები აღვადგინოთო. ბალფურის სიტყვას დიდხანს ელოდნენ, მაგრამ ამ სიტყვამ ვერც სამინისტროს მეგობრები დააკმაყოფილა, ვერც სამინისტროს მტრები. კონსერვატიული პრესა მეტად თავდაჭერით იხსენიებს ამ სიტყვას, არც თუ მაგრე რიგად აქებს; დამოუკიდებელი კონსერვატიული გაზეთები ხომ პირდაპირ ჰგმობენ ამ სიტყვას. ეს ადვილი გასაგებიცაა. თუმცა კონსერვატიულ სამინისტროს ნამდვილი სულის ჩამდგმელი ჩემბერლენი იყო, ბალფურს მაინც არ უნდოდა, რომ კონსერვატიული პარტია მთლად ჩემბერლენის ხელში ჩავარდნილიყო და ჩემბერლენის მოქმედებასთან მჭიდრო კავშირი ჰქონოდა. მაგრამ პირველ მინისტრს ამავე დროს კარგად ესმის, რომ მეტად ხარბ, გაბედულ, უპრინციპო წვრილმან ბურჟუაზიისა და ამ ბურჟუაზიის ბელად-ჩემბერლენის დაუხმარებლად კონსერვატიული პარტია ვერ გაუძლებს საზოგადოების გულის-წყრომასა. ამიტომაცაა, რომ ბალფური ასე ორჭოფად ლაპარაკობს და ასე გაუბედავად იქცევა. ხან აცხადებს (ჩემბერლენთან მიწერილ წერილსა და თავის ბროშიურაში), რომ პურსა და სანოვაგეზე ბაჟის დადება შეუძლებელიაო, ამნაირ ბაჟებს ვერც-კი ვახსენებთო; ხან ჩემბერლენის სიბრძნეს აქებს,— პირველი სახელმწიფო კაციაო, და გაბედვით აცხადებს, პურის კანონები უნდა აღვადგინოთო, ის ულვთო და დამღუპველი პურის კანონები, რომლებიც მე-40 წლების თაობის საუკეთესო წარმომადგენლებმა და ინგლისის მუშა ხალხმა საუკუნოდ დასწყევლეს.

ასეთი ორჭოფობა და გაუბედაობა ბალფურის ხასიათის თვისებას როდი შეადგენს. მართალია, ბალფური ძლიერი და გაბედული სახელმწიფო კაცი ვერაა, პირველ მინისტრს იმისი თავი არა აქვს, რომ საზოგადოების აზრსა და მოქმედებას მიმართულება მისცეს, ხალხი თავის ჭკუაზე ატაროს, მაგრამ ბალფური ყოველთვის „ჯენტლმენად“ ითვლებოდა, ესე იგი ყოველ გარემოებასა და შემთხვევაში პატიოსნადა და სახელოვნად იქცეოდა. ეხლა რაკი ჩემბერლენს დაუახლოვდა—უფრო სწორედ რომ ვსთქვათ, ჩემბერლენმა თითონ დაიახლოვა, მოაჯადოვა—ბალფურმა თავისი „ჯენტლმენობა“-ც კი დაივიწყა და ურიგო საქმეები ჩაიდინა. ასე მაგალითად, იმ დროს, როცა სამინისტრო ჩემბერლენის სატამოჟნო პროექტს იხილავდა, ჩემბერლენის თხოვნა სამსახურიდან გადადგომის თაობაზე ბალფურს ჯიბეში სდებოდა. ბალფური არ იცავდა ჩემბერლენის პროექტს, მაგრამ მაინც ისე იქცეოდა, რომ თავისუფალ ვაჭრობის მომხრეებმა გადასწყვიტეს, სამინისტროდან უნდა გავიდეთო და სამსახურიდან გადადგნენ. ეგონათ, ჩემბერლენი სამსახურში რჩებაო. რიჩისა, ჰამილტონს და სხვებს რომ სცოდნოდათ, ჩემბერლენმა სამსახურს თავი დაანებაო, მინისტრობიდან გადადგომას გუნებაშიაც არ გაიტარებდნენ. ეს ლოგიკისა და საპარლამენტო ჩვეულების წინააღმდეგი იქნებოდა.

მაგრამ კონსერვატორებს, მეტადრე ბალფურს, ეშინიანთ, ვაი თუ მტაცებელ ბურჟუაზიის თანაგრძნობა მოგვაკლდესო; ვაითუ ეს ბურჟუაზია ინგლისსა, აფრიკასა, თუ ავსტრალიაში, ყველგან გადაგვიდგესო. მტაცებელ ბურჟუაზიის წარმომადგენლები არიან ახალ ზელანდიის პირველი მინისტრი და ყოფილი მიკიტანი სიდონი და სესილ როდსის სამხრეთ-აფრიკელი მემკვიდრეები; ყველაზე მძლავრი, ყველაზე გამბედავი და მოხერხებული წარმომადგენელი-კი ჩემბერლენია. ამი-

ქალაქის ბაღში ყოველგვარ ახალ შენობის აგება. ამგვარად ორსავ მთხოვნელს უარი ეთქვა.

დიდი კამათი გამოიწვია აგრეთვე ტფილისის ქუჩის მცხოვრებლების თხოვნამ. ამ საქმის განხილვის დროს თავმჯდომარეობდა ქალაქის მოურავის მოადგილე გრ. ი. გველესიანი, რადგან პირველმა უარი განაცხადა თავმჯდომარეობაზედ (ქალაქის მოურავი ტფილისის ქუჩაზე სცხოვრობს). ტფილისის ქუჩის მცხოვრებნი თხოულობენ, განთავისუფლებულ იქმნან იმ გადასახადისაგან, რომელიც გამგეობას დაუკისრებია ქუჩის კაპიტალურ შეკეთებისათვის. მთხოვნელნი აღნიშნავენ, ამ ქუჩის შეკეთებაში მთელმა ქალაქმა უნ და მიიღოს მონაწილეობა და არა მარტო ამ ქუჩის მცხოვრებთ, რადგან ქუჩა მთელს ქალაქს ემსახურება. საქმე კენჭის ყრით უნდა გადაწყვეტილიყო, მაგრამ, რადგან ამ ქუჩის სახლის პატრონებმა არ ისურვეს კენჭის ყრაში მონაწილეობის მიღება, ისე კი ხმოსანთა საკმაო რიცხვი აღარ იყო, გადაწყვეტა შემდეგის სხდომისთვის გადაიდო.

შემდეგ განხილულ იქმნა ქალაქის ბეითლის მოხსენება შესახებ იმისა, რომ საყასბოებთან გაიხსნას განსაკუთრებული განყოფილებები კამეჩის ხორცის გასასყიდად. ეს მოხსენება გამოუწვევია იმ გარემოებას, რომ ქუთათური ყასბები კამეჩის ხორცს ძროხის ხორცად ჰყიდიან, ე. ი. გირვანქას 9 კაპეიკად 6 კაპეიკის ნაცვლად. საბჭომ შეიწყნარა ეს აზრი.

დონ-ვალიანი

რუსეთის ქრონიკა

◆ სამოსწავლო უწყებამ ნება დართო ეკატერინოსლავში 1904 წლის 1 იანვრიდან დაარსდეს უმაღლესი საქალებო კურსები.

◆ წელს კიევის უნივერსიტეტში, გარდა ისტორიულ-ფილოლოგიურისა, არც ერთს ფაკულტეტზე მეოთხე კურსი არ არის. ამისი მიზეზი ის არის, რომ 1902 წელს უნივერსიტეტში არეულობის დროს ყველა ფაკულტეტების მეორე კურსის სტუდენტები, გარდა ისტორიულ-ფილოლოგიურისა, იმავე კურსზე დარჩნენ. უფროს კურსების სტუდენტებმა კი დაიჭირეს ეგზამენი. წელს 1902 წლის მესამე კურსის სტუდენტებმა გაათავეს უნივერსიტეტი და ამისთვის მეოთხე კურსი უსტუდენტებოდ დარჩა.

◆ უმაღლესის ბრძანებით, პოდპოლკოვნიკს შაფროვს, კრონშტადტში პოლიცმეისტრობის დროს ბოროტ-მოქმედებისათვის გადაწყვეტილი სასჯელი ეპატივა და სამაგიეროდ სამსახურიდან დათხოვნილ იქმნა.

◆ როგორც „ოდ. ნ.“ იუწყება, სასამართლო პალატამ განიხილა ს. აკერბეტში (ბესარაბიის გუბ.) ებრაელების წინააღმდეგ მომხდარ არეულობის საქმე. პალატამ გადაუწყვიტა სამს გლეხს ყოველისავე უფლების ჩამორთმევა და სატუსაღო რაზმში გაგზავნა: ერთს—ორის წლით და ორს—თითო წლით და ოთხს გლეხს ექვსის თვით დაპატიმრება. ერთი დამნაშავედ ვერა სცნო.

◆ „ბაკ. იზვ.“ ერთს შემაძრწუნებელ ამბავს გადმოგვცემს, რომელიც ცხადად გვიმტკიცებს, თუ როგორ გულცივად ეპყრობიან და როგორ აფასებენ ზოგიერთი ვაჟბატონები თავიანთ ხელქვეით მყოფ ადამიანის სიცოცხლეს. ბაქოში მიმავალ აღმოსავლეთის საზოგადოების გემზე „ვარვარა“-ზე 23 სექტემბერს გემის ერთი მუშა გემის ადუღებულ ქვაბში ჩავარდა. კაპიტანს შეეძლო გაეჩერებინა გემი, ქვაბიდან ორთქლი გამოეშვა და მით სიკვდილისაგან ეხსნა მუშა, მაგრამ კაპიტანმა ყურადღება არ მიაქცია ცოცხალ ადამიანის ხარშვას და ბაქოში მოსვლის შემდეგ გასცა განკარგულება, უკვე მოხარშული მუშა ამოეღოთ ქვაბიდან.

◆ წელს შესანიშნავად იმატა პეტერბურგის უმაღლეს საქალებო კურსებზე შესვლის მსურველთა რიცხვმა. მარტო წელს შესულ თხოვნების რიცხვი აღემატება კურსების არსებობის 25 წლის განმავლობაში შესულ თხოვნათა რიცხვს. წელს შესულა 910 თხოვნა. ამათგან მიუღიათ 594 მთხოვნელი: 383—ისტორიულ-ფილოლოგიურ განყოფილებაზე და 211—ფიზიკო-მატემატიკურზე. მიღებულთა რიცხვში 17 ებრაელი ქალია.

◆ რათა პეტერბურგში საფოსტო კორესპონდენციების ტარება დაჩქარდეს და დეპეშებისა და წერილების მტარებელთ შრომა შეუმსუბუქდეთ, შინაგან საქმეთა მინისტრმა საჭიროდ სცნო ისარგებლონ ქალაქის ცხენის რკინის გზით. შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგმა დურნოვომ კიდევაც მიჰმართა ქალაქის მოურავს წინადადებით, რას აიღებს წლიურად ქალაქი პოსტალიონებისა და დამტარებელთა ტრამვაის ვაგონებით მგზავრობისთვის.

◆ როგორც „ნოვ. დნია“ იუწყება, ხმები მაზურინის დიდ მემკვიდრეობის შესახებ მართლდება. ამ წელს მარტში გადაცვალებულ მაზურინს მართლა დაუტოვებია ვაჭართა საზოგადოებისათვის სამ მილიონ ნახევარი მანეთი სხვა-და-სხვა საქველ-მოქმედო საქმეებისათვის, სხვათა შორის, უკვე არსებულ მაზურინის სახელობის თავშესაფარის გასაფართოვებლად.

◆ ◆ ◆

პრესსა

თავადი მეშჩერსკი, რომელიც ამას წინად ინგლისში ყოფილა, აი რასა სწერს თავის გაზეთს „გრაჟდანინ“-ში.

ცოტა ხანს ვიყავ ლონდონში, მაგრამ მაინც დავრწმუნდი, რომ თავისუფლებას, ამ ძლიერ სიტყვას, რომელიც დედამიწის გაჩენიდანვე აღელვებს კაცობრიობას, მარტო ინგლისში სცემენ თაყვანს, მარტო იქ მიაჩნიათ იგი ისეთ სიტყვათ, რომელსაც დიადი და მაღალი მნიშვნელობა აქვს. იმის გაგება, თუ რამდენად ჭეშმარიტია ეს თავისუფლება და არა ცრუ, როგორც მატერიკზეა, ყველას შეუძლიან, იმასაც-კი, ვინც ერთ საათს დაჰყოფს ლონდონში. საკმაოა ჰაიდ-პარკისკენ გაისეირნოთ და ნათლად დარწმუნდებათ და მიჰხვდებით აქ ნათქვამის ჭეშმარიტებას. ბაღის სხვა-და-სხვა ადგილას კაცების ჯგუფებს მოეკარით თვალი. თვითეულ ჯგუფის შუაგულში ტრიბუნის მაგიერ ყუთი იყო, რომელზედაც კაცი იდგა და ჰქადაგებდა იმას, რაც მოესურვებოდა. ერთ ჯგუფის შუაგულში ქრისტიანობის მქადაგებელი იდგა. ხელში სახარება ეჭირა. ქადაგება ფსალმუნების გალობით დასრულდა. იქვე, ამ ჯგუფის მახლობლად, ორატორი შემდეგს უამბობდა შეკრებილ ხალხს: „მადლობა შესწირეთ უფალს, რომ თვითეულ ჩვენგანს მაგარი და მრთელი კუჭი მოგვცა. ამ კუჭის მეოხებით შეგვიძლიან შიმშილი აუიტანოთ იმ დროს, როდესაც ჩვენი მეფე თავის მინისტრებითა და ლორდებით ფუფუნებასა და ოქროში დასცურავს.“

ასეთი ძლიერია თავისუფლებისადმი თაყვანის ცემა ინგლისში. ერთმა ჩემმა თანამემამულემ, რომელიც დიდი ხანია ლონდონში სცხოვრობს, შემდეგი მიამბო. უკანასკნელ ომის დროს ლონდონში მიტინგი გაიმართა ომის წინააღმდეგ. მიტინგი ლონდონის ქუჩებზე გაემართა. ბრბოს არაფრად ეჭაშნიკა ესა და მოისურვა მიტინგის დაშლა. მაგრამ საქმეში პოლიციელნი ჩაერივნენ. ამათ მფარველობა გაუწიეს და თავ-დასხმისაგან გადაარჩინეს ეს მიტინგი, რომელიც მთავრობის წინააღმდეგ პროტესტს აცხადებდა. ასე ძვალსა და რბილში აქვთ ინგლისელებს თავისუფლება გამჯდარი. ეს თავისუფლება იმიტომ არის აქ ასე ძლიერი, თითქმის სასწაულთ-მომქმედი, რომ იგი დედის ძუძუსთან ერთად ენერგება ბავშვს დ საფუძვლად უდევს ყოველ სკოლას, როგორც არისტოკრატულ კოლეჯს, ისე ქალაქის პირველ დაწყებით სკოლას. ამასთან თავისუფლებას ყოველთვის თან ახლავს წეს რიგის და ისტორიულ ჩვეულებათა მიმართ პატივისცემა.

თეატრი

ავლაბრის ახალი თეატრი შეუძლებელია ასეთ პირობებში წარმოდგენების მართვა: ბ. არაქსიანი უთუოდ უნდა დასთანხმდეს ფასების დაკლებას, თორემ თეატრი ავლაბარში ვერ იხეირებს. ეს მესამედ გამართა დრამატიულმა კომიტეტმა წარმოდგენა და ხალხი კი ვერც ერთზე ვერ მიიზიდა, თუმცა ხალხის საყვარელ პიესებს არდგენდნენ ყოველთვის.

ვიმეორებთ, თუ ბ. არაქსიანს არა სურს ავლაბარში თეატრის საქმე დაიღუპოს, თეატრის ქირასა და ადგილების ფასს უნდა დაუკლოს. როცა ავლაბარში მარტო მურაშკოს თეატრი არსებობდა და იაფ-ფასიანი წარმოდგენები იმართებოდა, თეატრი მუდამ გაჭედილი იყო, თუმცა იქაც ხშირად მართავდნენ ქართულ-სომხურ-რუსულ წარმოდგენებს.

„ორი ობოლი“ მწყობრად წარმოადგინეს ჩვენმა არტისტებმა. ახალ არტისტებ შორის საზოგადოების ყურადღება დაიმსახურეს შალიკაშვილმა და გვარაძემ. პირველი ასრულებდა გრაფ დე ლინიერის როლს, მეორე პიერისას. შალიკაშვილს კარგ დიქციასთან ტემპერამენტიც ჰქონია და იმედია, რომ ახალგაზდა მსახიობი, თუ შრომას და მეცადინეობას არ დაიზარებს, საპატიო ადგილს დაიკავებს ქართულს სცენაზე. გვარაძე გრძნობით თამაშობდა მთელ წარმოდგენის განმავლობაში, თუმცა იმ სცენაში, სადაც მრისხანება და ზიზღი უნდა გამოეხატა, ძალა აკლდა. უმთავრესი ნაკლი ახალგაზდა მსახიობისა ხმის მოუქნელობაა; აკლია, და ძალიანაც, მკაფიო დიქციაც; იმედია, გვარაძე შრომას და სწავლას არ დაიშურებს, რომ ეს ნაკლი თავიდან აიშოროს.

არ შეგვიძლია, ერთი შენიშვნა არ მივცეთ ქართულ თეატრის პატივცემულ რეჟისორს: საქმისათვის დიდათ მავნებელი იქმნება, თუ გამოუცდელ, ახალგაზდა არტისტებს ზედი-ზედ ძნელ, პასუხის საგებ როლებს აკისრებინნებენ; როლის შესწავლასა დ შეგნებას ცოტა დრო არა სჭირდება, რაც უნდა ნიჭიერი იყოს არტისტი. თუ ჯეროვანი ყურადღება არ მიექცა ამ გარემოებას, ადვილად შესაძლებელია, რომ გამოუცდელი მსახიობი სწორე გზას ასცდეს და თან-და-თან შეეჩვიოს ზერელედ საქმის სამსახურს.

სვიმონიძე ჩვეულებრივ კარგი ჟაკი იყო, ამ როლს მსახიობი ყოველთვის კარგად ასრულებს.

ე. ჩერქეზიშვილი პირველად ვნახეთ ფროშარის როლში და ძალიანაც მოგვეწონა, თუმცა ორგინალური, თავისებური არა შეუტანია-რა თამაშში. აწყურელი მშვენიერი პიკარი იყო. მდივანს ტყვილა არ დაუკარგავს ერთი წელიწადი ქუთაისში—ბევრი უსწავლია და შეუთვისებია და მაყურებელი საზოგადოებაც ასიამოვნა თავის გრძნობიერის თამაშით. ერთი პატარა შენიშვნა: ლუიზა ბრმაა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ შეჩვეულ, ნაცნობ ოთახში ფეხს ვერ გადადგმიდეს, თუ იატაკს ხელი არ მოუსვა. ეს გადაჭარბებაა.

კარგარეთელი თავში მეტად ცივად თამაშობდა, ბოლოს-კი მეტი გრძნობა გამოიჩინა. აფიშაში მარიანის როლის აღმასრულებლად კუნდელი იყო გამოცხადებული, ნამდვილად-კი დავიდაშვილის ქალმა ითამაშა. მოუმზადებლად ასეთ დრამატიულ როლის შესრულება გამოცდილ მსახიობსაც წააბორძიკებს, არა თუ სრულებით გამოუცდელ აქტიორს. დავიდაშვილის ქალი სცენაზე გამოსვლისათანავე შეკრთა და ბოლომდე ეგრე შემკრთალი თამაშობდა.

ავლაბრელი

—

ოპერა. 7 ოქტომბერს სახაზინო თეატრში წარმოადგინეს ჩაიკოვსკის ოპერა „პიკოვაია დამა“, რომელშიაც მონაწილეობას იღებდა ფიგნერი გერმანის პარტიაში. კარგის ანსამბლით და კარგად დადგეს ეს ოპერა. ფიგნერი—გერმანი საუცხოვო იყო, ხმაც ამ საღამოს არა ჰღალატობდა. პირველ მოქმედებას მეორე სცენაში გემოვნებით იმღერა არია „простій, небесное созданіе“. სცენა კაზარმაში, ჩვენის აზრით, უფრო სუსტად ჩაატარა. მეორე უმთავრესი პარტია—ლიზას

ტომ ბალფურმა ძალა-უნებურად პირობა მისცა ჩემბერლენს, სამინისტროში არც თავისუფალ ვაჭრობის მომხრეები დარჩებიანო. მეტი ჩარა არ იყო, თავი ისე დაიმდაბლა, რომ ამხანაგ მინისტრებს სახელმწიფო დოკუმენტები დაუმალა,—ჩემბერლენის წერილი მინისტრობიდან გადადგომის თაობაზე სახელმწიფო დოკუმენტია.—ზოგიერთმა გაზეთმა პირდაპირ გამოაცხადა, ჯერ ინგლისში სახელმწიფო მოღვაწისა და ჯენტლმენის სახელი არც ერთ მინისტრს არ დაუმცირებია ისე, როგორც ბალფურმა დაამცირაო. უბრალოდ, გასაგებად რომ ვსთქვათ, ბალფური მეტად ურიგოდ მოიქცა.

თითონაც კარგად იცის ესა, მაგრამ რას იზამთ?—ჩემბერლენს ამნაირი პირობა ჩამოერთმია: ფინანსთა მინისტრი რიჩი უსათუოდ თავიდან მოეშორებინა ბალფურს და იმის მაგივრად ჩემბერლენის შვილი დაეყენებინა, თუმცა ჩემბერლენის შვილი ჯერ ახალგაზდაცაა და არცა რა დიდი ნიჭი გამოუჩენია; კოლონიების მინისტრად კიდევ იმავ ჩემბერლენის დამქაში და ყურმოჭრილი ყმა, ტრანსვაალის ცნობილი „ჯალათი“ მილნერი დაეყენებინა. ასე რომ ბალფურის სამინისტრო სულ მთლად ხელში უვარდებოდა **თავის ნებით გადამდგარ** ჩემბერლენს. მაგრამ ბალფურსა და იმის ბირმინჰამელ ბოროტ სულს ნახტომი შეეშალათ. ჯერ ერთი რომ მეფემ მეტად მოხერხებულადა და ჭკვიანურად გააგებინა ბალფურს, კონსტიტუციონალური სამინისტრო უნიჭო ახალგაზდა კაცების კრებულს როდი უნდა წარმოადგენდეს და არც რომელისამე გვარის მემკვიდრეობითი დაწესებულებააო. მეორე კიდევ ისა, რომ მილნერი მიჰხვდა, ხალხისა და მეფის სურვილის წინააღმდეგ მინისტრად დადგომა ვერაფერი საქმე იყო, ვერაფერ ხეირს შესძენდა და ხელიდან გაუსხლტა ბალფურს... ამიტომაცაა, რომ ბალფურმა დღემდე ახალი მინისტრები ვერ იშოვა *). მინისტრების შოვნა ჯერ არც ერთ პირველ მინისტრს არ გასჭირებია ასე ეხლა რას იზამს ჩემბერლენი? იხსნის ბალფურს გაჭირებიდან, თუ საბოლოოდ დაჰღუპავს? არ ვიცი. იქნება არ დაღუპოს,—ეს ძნელი გამოსაცნობი საქმეა, მაგრამ ის-კი ცხადია, რომ გაჭირებიდან ვერ იხსნის. თითონაც ნიადაგი ეცლება ფეხ-ქვეშ. ხალხის წყრომა ძლიერდება. ჩემბერლენსაც ის ბედი ეწვევა, რაც ყველა შემთხვევით გამოჩენილ და მაღლა ასკუპებულ კაცებს სწვევიათ ყოველთვის. გამბეტა ჩემბერლენზე უფრო ნიჭიერიც იყო, უფრო ჭკვიანიც, მაგრამ იმანაც-კი ვერ გაუძლო ხალხის გულის წყრომას.

მაგრამ ვინ დაიჭერს ამათ ადგილს? ლიბერალების მეთაურები ისე გაჩუმებულან, თითქო პირში წყალი ჩაუგუბებიათო. რაიმე მოსაზრებით არიან გაჩუმებულნი, თუ გულგრილობით, დაუდევნელობით მოსდით ესა? ეს ძნელი გამოსაცნობია. განა ლიბერალებმა არ იციან, რომ ეხლა საზოგადოება მარტო ორ საქმეზე-ღა ჰფიქრობს: სასკოლო რეფორმასა და პროტექციონიზმზე? ეს საქმეები ეხლა ყველას პირზე აკერია. ქუჩებსა, სახლებსა, კრებებსა, თუ კლუბებში, ყველგან მარტო ამ ორ საქმეზე-ღა ლაპარაკობენ; სხვა საქმეები ყველას მიავიწყდა. გაზეთები ხომ, თქმა აღარ უნდა, მარტო ამ საქმეებზე სწერენ ეხლა. მაკედონიიდანაც მოდის თავზარ დამცემი ამბები, დაწვრილებით იუწყებიან, თუ რა მხეცურად იქცევა ოსმალეთის მთავრობა, მაგრამ ნამდვილ გულწრფელ თანაგრძნობასა და გულის წყრომას ათასში ერთი თუ-ღა აცხადებს.

ოთხის დღის წინ, ლონდონის ერთს უდიდეს დარბაზში, პროფესორ ბრაისის (გლადსტონის კაბინეთში მინისტრად იყო) თავმჯდომარეობით კრება მოახდინეს, მაკედონიელებს თანაგრძნობა გამოუცხადეს და ინგლისის მთავრობის პოლიტიკა მაკედონიის საქმეში გაჰკიცხეს. კრებას საუკეთესო მჭევრმეტყველი ორატორები, მეცნიერები, სამღვდელონი და მრავალი წარჩინებული მოღვაწე დაესწრნენ. ცნობები ამ კრებაზე ყველა გაზეთში დაიბეჭდა... მაგრამ რა გამოვიდა? მეორე დღეს ყველანი ისევ შინაურ საქმეებზე ფიქრმა გაიტაცა; ყველამ ისევ ბაჟებსა და სასკოლო კანონზე დაიწყო ლაპარაკი. მართლაც და დიდი განსაცდელი მოელის ინგლისს: მთავრობამ სახალხო სკოლაში ანგლიკანისა და კათოლიკე სარწმუნოების იეზუიტები გააბატონა და ეხლა კიდევ წყეულ პურის კანონების აღდგენას აპირობს!

ლიტერატურა, ხელოვნება და თეატრი ხომ თითქმის აღარავის ახსოვს. ასე ხანდახან ერთ-ორ სიტყვას თუ აღირსებენ, ხოლმე, თუმცა ამ ბოლოს დროს შესანიშნავი წიგნები გამოიცა და თვალ-საჩინო ახალი თეატრალური პიესები დაიწერა. ამას წინად ჯონ მორლეიმ გლადსტონის შესანიშნავი, შეიძლება ვსთქვათ, კლასიკური ბიოგრაფია გამოსცა; ამას გარდა ახალი მეტად ორიგინალური პუბლიცისტური და ბელეტრისტული თხზულებანიც გამოიცა. ფანტასტიურ მოთხრობების მწერლის ველსის წიგნი „კაცბრიობის გაუმჯობესება“ მეტად ორიგინალური წიგნია, მართალია ალაგ-ალაგ პარადოქსალურია, მაგრამ მაინც ახალ აზრებითაა სავსე. აქაურ რადიკალურ ბურჟუაზიის საყვარელმა მწერალმა ბერნარდ შომაც საინტერესო პარადოქსალური დრამატიული პიესა დასწერა. ეს პიესა შესანიშნავია, როგორც ჩვენის დროის სურათი; თანამედროვეთაობის უპრინციპობას, უვარგისობასა და ცხოვრების სიამოვნებისა, ფუფუნებისა და გამდიდრებისათვის გაგიჟებას ეს პიესა სარკესავით უტყუვრად გვიჩვენებს. სხვა დროს ამ წიგნებზე ლაპარაკს ბოლო აღარ ექნებოდა. ეხლა კი, ვიმეორებ, სასკოლო საქმესა და პროტექციონიზმზე-ღაა ლაპარაკი.

ყველა ეს ამბავი სულ ეხლანდელ სამინისტროს ბრალია; ამიტომ ეს წერილიც ძალაუნებურად ამ სამინისტროს ვუძღვენი.

ლონდონელი

---

*) ეს წერილი იმ დროსაა დაწერილი, როცა ახალი მინისტრები ჯერ არ იყვნენ დაყენებული.

პარტიაა, რომელსაც მღეროდა ქ. რენე-რადინისა. ორი ადგილი აქვს ოპერაში პასუხსაგები: პირველ მოქმედების მეორე სცენაში და მესამე მოქმედების მეორე სცენაში, ეკატერინეს არხთან. პირველ მოქმედებაში კარგად შეასრულეს დუეტი ქ. რენე-რადინისამ და ქ. კარრიმ. ეს დუეტი განიმეორეს საზოგადოების თხოვნით. მესამე მოქმედების მეორე სცენაში-კი უფრო მოისუსტა. ხშირად მაღალ ჰანგებში უფრო კივილი ისმოდა, ვიდრე სიმღერა. კარგი გრაფინია იყო ქ. სელიუკ-როზნატოვსკისა. მშვენივრად იმღერა მეორე მოქმედების მეორე სცენაში თავის მოგონება. ორკესტრიც კარგად უწყობდა ხელს. ჩინებული შთაბეჭდილება მოახდინა ბ. ევლახიშვილმა ელეცკის პარტიაში. მიუხედავად იმისა, რომ, როგორც ეტყობოდა, შეუძლოდ იყო, მაინც დიდის გრძნობით და გემოვნებით იმღერა ცნობილი არიოზო „მე თქვენ მიყვარხართ“. საზოგადოების თხოვნით განიმეორა მესამე მუხლი ამ არიოზოსი. ორკესტრი, ხორო, მოწყობილობა საუცხოვო იყო.

შეგვიძლიან, თუ-კი მოვინდომებთ

ამას წინად ბ-ნმა მევენახემ მეტად საყურადღებო წერილი მოათავსა „ცნობის ფურცელ“-ში ყურძნით ექიმობის შესახებ. წერილში აღძრული საკითხი ჯერ სულ ახალია და ამისთვის საჭიროა, ჩვენი საზოგადოება მეტის ყურადღებითა და დაკვირვებით მოეკიდოს. ავტორი-სპეციალისტი გვირჩევს, რომ არის სხვა და სხვა საადრიო ჯიშის საექიმო ყურძენი, როგორც, მაგ. შასლა, პედრო-ხიმენეს და სხვა, რომელიც საუკეთესო წამალია სხვა და სხვა ავადმყოფობისათვის და რომ სასურველია ამგვარ ყურძნის ვაზების გავრცელება ჩვენშიო (ეჭვს გარეშეა, რომ ჩვენებურ ჯიშის ყურძნებშიაც მოიპოვება საექიმო ყურძენი, მაგრამ ჯერ კიდევ გამოუკვლეველია). ყირიმში, როგორც წერილის ავტორი ამბობს და ჩვენც ვიცით, არსებობს ყურძნით საექიმო კურორტები, სადაც მრავალი ხალხი იკრიბება რუსეთის სხვა და სხვა კუთხიდან. თუ კი ყირიმს შეუძლიან ასეთის სარგებლობის მოტანა და მით ყურადღების დამსახურება, ჩვენ ქვეყანას, ბუნებით უფრო მდიდარს, რატომ არ უნდა შეეძლოს!

ჩვენის ქვეყნის ნიადაგი და ჰავა, როგორც ამ ბოლო დროს ცდამ და გამოკვლევამ დაამტკიცა, საუცხოვოდ ითვისებს საზღვარ-გარეთელ ჯიშის ვაზებს. ბ-ნ ტიებოს ვენახში შვიდასზე მეტი საზღვარ-გარეთელი ვაზია (სხვა და სხვა ჯიშისა) გაშენებული, რომელთა ზრდა და ნაყოფის გამოღება არაფრით არ ჩამოუვარდება ადგილობრივ ვაზებს და ზოგიერთი კიდევაც სჯარბობს, მაგ. ალიგოტე, გამე. როგორც მცოდნემა და გამოცდილმა კაცებმა გადმოგვცეს, საზღვარ-გარეთელ ვაზების ღვინო იმავე ღირსებისაა, როგორიც თვით საზღვარ გარედ, სამშობლოში.

როგორც წელან ვამბობდით, ჩვენი ქვეყნის ჰავა და ნიადაგი მშვენივრად ითვისებს საზღვარ-გარეთელ ვენახის ვაზებს. ტიებოს დიმელ ვენახიდან გადმოტანილი აქვს რამდენსამე მემამულეს სოფ. როკითში შასლა და პედრო-ხიმენეს, რომელთაც აქაც მშვენივრად იხეირეს და სასურველი ნაყოფი გამოიღეს. პედრო-ხიმენეს აქ ოც ივლისს მწიფე იყო. ასე რომ საზღვარ-გარეთელ ვაზებისა და მასთან საადრიო საექიმო ყურძნის ვაზების გაშენება მეტად სასარგებლოდ და მოხერხებულად უნდა აღვიაროთ. თუ საექიმო ყურძნები გვექნება, ჩვენი ქვეყნის მომხიბლველი ბუნება და საუცხოვო საღი ჰაერი ხომ ხელშემწყობ მასალას წარმოადგენს იმისთვის, რომ გავხსნათ ყურძნით საექიმო საზაფხულო კურორტები. საჭიროა მხოლოდ სურვილი და გულმოდგინედ საქმის ხელის მოკიდება.

სხვათა შორის, მაგალითად შეგვიძლიან მოვიყვანოთ ქუთაისი, რომელსაც აქვს საკუთარი, თვით ქალაქზე მოკრული ადგილი (უმეტეს ნაწილად ტყე) „საღორია“, სიგრძით რვა ვერსამდის. აი, აქ, ამ ადგილზე, ქუთაისის ქალაქის გამგეობას შეუძლიან გამართოს ყურძნით საექიმო საზაფხულო კურორტი, რისთვისაც საჭირო იქნება გაშენდეს რამდენიმე დესეტინა საექიმო საადრიო ყურძნის ვენახი, ბაღი და რამდენიმე საავარაკო სახლი. თვით საღორიის მიწის სავენახე ნიადაგი და მასთან მშვენიერი მომაღლო მდებარეობა, საიდანაც თვალწინ გეშლება რიონის ჭალა, და მისჩერებიხარ ტყეებით შემოსილ აჭარა-ახალციხის მთებს და მათ კალთებზე გაშენებულ იმერეთის სოფლებს, იქვე მომდინარე ძველი ფაზისი, მის კიდეზე გაყვანილი რკინის გზა, თვით შუა საღორიაზე გაყვანილი აბასთუმნის გზატკეცილი—ყველაფერი ეს ხელსაყრელ მასალას წარმოადგენს, თუ-კი ქუთაისის ქალაქის თვითმმართველობა მოისურვებს და გადასწყვეტს ამ ადგილზე ყურძნით საექიმო საზაფხულო კურორტის გამართვას. ამგვარ კურორტით ქუთაისი მიიზიდავს მრავალ ხალხს როგორც ჩვენის ქვეყნიდან, ისე უცხოეთიდან.

გ. ახვლედიანი.

სასამართლო

I

მუშების საქმე

8 ოქტომბერს ტფილისის ოლქის სასამართლოში განსახილველად დანიშნული იყო საქმე რკინის გზის სახელოსნოს მუშების მანჯგალოვისა, ს. სტურუასი, პ. სტურუასი, ბოტყოველისა, ბონდარენკოსი, კახაძისა, ნორაკიასა, სენაქოევისა და ტფილისის მოქალაქის ფედორენკოსი, რომელთაც ყაზახთათვის წინააღმდეგობის გაწევა ჰბრალდებათ. რამდენიმე მოწმე არ გამოცხადდა. ბრალმდებლის ამხანაგმა კანონიერად სცნო მოწმეების გამოუცხადებლობა და მოითხოვა საქმის განხილვა. დამცველმა თავ. ი. ბარათაშვილმა მოწმეების გამოუცხადებლობა უკანონოდ სცნო და მოითხოვა საქმის გადადება. თავ. ბარათაშვილს მხარი მისცა სხვა დამცველებმაც. სასამართლომ კანონიერად სცნო დამცველთა მოთხოვნილება და საქმე გადასდო 13 ნოემბრისათვის.

II

სამშაბათს, 7 ოქტომბერს, ქუთაისის ოლქის სასამართლოში გაირჩა საქმე თავ. დავით და ბონდო მიქელაძისა, რომელთაც პოლიცია უჩიოდა, თანამდებობის ასრულების დროს სიტყვითა და მოქმედებით შეურაცხყოფა მოგვაყენესო. ოლქის სასამართლომ უდანაშაულოდ სცნო თავ. ბონდო მიქელაძე და სრულიად გაამართლა, თავ. დავით მიქელაძეს კი მიუსაჯა ერთის თვით დაპატიმრება, ან ჯარიმად 100 მანეთის გარდახდა. ბრალდებულთ იცავდა ნაფიცი ვექილა თავ. მ. გ. ფალავა.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

7 ოქტომბერი

პეტერბურგი. საბერძნეთის მეფე-დედოფალი მოვიდნენ.

სარატოვი. საერობო კრებამ გამოსთქვა სურვილი, მოისპოს საარჩევნო წოდებრივი განსხვავება და არჩევნები ინიშნებოდეს მთელ ოლქში საყოველთაოდ განურჩევლად წოდებისა და ცენზისა.

მელბურნი. იყიდეს ავსტრალიის დიდ-ძალი ტყავი ჩინეთში გასაგზავნად იაპონიისა და რუსეთისათვის.

მოსკოვი. სამაზრო საერობო კრებამ გადასდო 6,000 მანეთი 121 სამასწავლებლო და 19 სახალხო ბიბლიოთეკის შესანახად. მოსკოვის უნივერსიტეტის ყველა ფაკულტეტებზე არსდება სტუდენტების ურთი-ერთ დამხმარებელი კასა და საგიმნასტიკო საზოგადოება.

მოსკოვი. დღეს მოსკოვს ბობძანდნენ საზღვარ-გარეთიდან დიდი მთავარი სერგეი ალექსანდრეს ძე, დიდი მთავრინა ელიზავეტა თეოდორეს ასული და ავგუსტოესი შვილები დიდის მთავრის პავლე ალექსანდრეს ძისა.

იარანსკი. საერობო კრებამ და ქალაქის საბჭომ დაადგინეს, ვიშუამდგომლოთ ნიჟნისა და იარანსკის რკინის გზის შეერთების თაობაზეო.

კალუგა. მაზრის საერობო კრებამ დაადგინა, დაარსდეს გამგეობასთან სასოფლო-სამეურნეო საბჭო.

ბელგრადი. შინაგან საქმეთა მინისტრმა წაიკითხა სკუპშჩინაში კაბინეტის პროგრამა და კანონპროექტი: 1. სათემო და საოლქო თვითმმართველობის შესახებ, 2. მოსამსახურე პირების სამსახურის უზრუნველ-ყოფისა, 3. ბეჭდვითი სიტყვის შესახებ. კაბინეტს სურს, მოსამართლენი დამოუკიდებელნი იყვნენ. კაბინეტი ფინანსებს ყურადღებას მიაქცევს, ფინანსთა სამინისტროში რეფორმებს მოახდენს და ბუხჰალტერიას გააუმჯობესებს. მთავრობა იზრუნებს ხალხის მეურნეობის გაუმჯობესობისათვის; ამ აზრით გახსნის სკოლებს, გააშენებს ტყეებს და დააზღვევს სოფლის მცხოვრებთ სეტყვისა და წყალდიდობისაგან. მთავრობა დამოუკიდებელ ტარიფს ადგენს; ეცდება რკინის გზების გაყვანას; უმაღლეს სასწავლებელს გადააკეთებს უნივერსიტეტად და ეცდება ჯარის გაუმჯობესებას, რისთვისაც სამხედრო ბიუჯეტს უფრო მტკიცე ნიადაგზე დააყენებს და სამხედრო სწავლებას გააფართოვებს.

ტიანძინი. მოვიდა გერმანელებისა და ფრანგების პირველი ფოსტა ციმბირის რკინის გზით.

ნეაპოლი. 6 ოქტომბერს ვეზუვიმ ხელახლად ამოხეთქა.

მინსკი- საერობო კრებამ დაადგინა 9 სახალხო საერობო და 2 სამეურნეო სკოლა გავხსნათო.

8 ოქტომბერი

სოფია. რუსეთისა და ავსტრო-ჰუნგრეთის ახალ წინადადების პასუხად, პორტამ ნოტა დაამზადა, ყველაფრის ასრულებას ჰპირდება და როგორც ყოველთვის, ამტკიცებს, რომ კომიტეტები რეფორმების ასრულებას მიშლიანო.—მაკედონიის კომიტეტების წარმომადგენლები გადაჭრით ამტკიცებენ, რომ ვინმე ლაზარევიჩი, რომელიც ლონდონში ცხოვრობს, კომიტეტების სახელით მოქმედებს და რამდენისამე მილიონის სესხებას ცდილობს, კომიტეტის წევრი არააო.

ვენა. საბერძნეთის მეფე ვენაში წასვლას აღარ აპირობს.

ბელგრადი. საერო კრებამ დაამტკიცა კანონპროექტი იმის თაობაზე, რომ ოსმალეთთან სავაჭრო ხელ-შეკრულება დაიდოს.

პეკინი. რუსეთისა, ბრიტანიისა და იაპონიის მისიები ბეჯითად უარ-ჰყოფენ იმ ხმას, ვითომ რუსეთსა და იაპონიას ომი მოუვათო.

პეტერბურგი. გენერალ-ლეიტენანტი ლინევიჩი პრიამურის სამხედრო ოლქის ჯარის უფროსად და პრიამურის ყაზახთა ჯარების უფროს ატამანად დაინიშნა.

პეტერბურგის ბირჟა, 7 ოქტომბერი

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონისაზე 10 გირვ. სტ.	93,70
ბერლინისაზე 100 მარკაში	45,92½
პარიზისაზე 100 ფრანკში.	37,32½
ლონდონისაზე ჩეკები	94,60
ბერლინისაზე „	46,30
პარიზისაზე „	—
ბირჟის დისკონტი	5-6½%
4% სახელმწიფო რენტა	99⅝ გაყ.
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	90¾(?)
4½% შინაგანი სესხი 1903 წ.	—
4% გირ. ფურ. სახელ. ს.-მამ. ბანკ.	95⅛ გაყიდ.
5% 1 შინ. სესხ. მომ. ბილ. 1864 წ.	443 გაყ.
5% მეორე შინ. სესხ. მომ. ბილ. 1866 წ.	332¾ „
5% გირ. მომგ. ფურც. სახ. ს.-მამ. ბანკ.	282 ¼ „
5% ობლ. ტფილ. საკრ. საზოგ.	—
4½% ობლ. იმავე საზოგად..	—
5%-ანი ობლ. ბაქოს საკრ. საზოგ.	—
5% გირ. ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკ.	—
4½% გირავ. ფურც. ამავე ბანკისა.	—
6% გირ. ფურ. ქუთ. ს.-მამ. ბანკისა.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	—
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია.	191⅛(?)„

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

18 აპრილიდან.

ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს: 1) სწრაფი მატარებელი № 1 დილის 9 ს. 39 წ. (10 ს. 37 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 5 ს. 20 წ. (6 ს. 18 წ.); 3 სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 51 წ. (7 ს. 49 წ.).

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით პირდაპირ მოსკოვამდე) ნაშუადღევის 3 ს. 26 წ. (4 ს. 24 წ.); 2) საფოსტო № 4 დილის 10 ს. 51 წ. (11 ს. 49 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 10 ს. 34 წ. (11 ს. 32 წ.).

ყარსსა და ერევანს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 32 წ. (12 ს. 30 წ.); 2 სამგზავრო № 90/91 შუადღის 11 ს. 40 წ. (12 ს. 38 წ.).

ბორჯომს: 1) სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. (2 ს. 58 წ.); 2 სამგზავრო № 9/10 დილის 5 ს. 23 წ. (6 ს. 21 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის;

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სწრაფი № 2 ღამის 10 ს. 24 წ. (11 ს. 22 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 9 ს. 23 წ. (10 ს. 21 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 9 ს. 39 წ. (10 ს. 37 წ.).

გ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 მარტო ტფილისამდე, პარასკევობით, მოსკოვიდან მომავალი) ღამის 3 ს. 42 წ. (4 ს. 40 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 9 ს. 18 წ. (10 ს. 16 3). წ. სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 1 ს. 3 წ. (2 ს 1 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) ღამის 1 ს. (1 ს. 58 წ. 2) დღის 1 ს. 25 წ. (2 ს. 23 წ.).

ბათუმისაკენ: 1) ღამის 1 ს. (1 ს. 58 წ.; 2) დღის 1 ს. 25 წ. (2 ს. 23 წ.); 3) დღის 3 ს. 50 წ.) (4 ს. 48 წ.).

შორაპნისაკენ: დღის 2 ს. 10 წ. (3 ს. 8 წ.).

განცხადებანი

ქუთაისში

სამ. ბ. თოფურიას

სამკურნალო,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ.** სამკურნალოში 60 საწოლია შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.

«ქუთ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის»

კიოსკში,

ლორის-მელიქოვის ქუჩა, ალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

	მ.	კ.
დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა—პოემა ბაჩანასი.	—	10
იოსებ დავითაშვილის ლექსები	—	50
ბნელთ მოთხრობა—მელანიასი	—	20
ალ. ყაზბეგის I, II და III ტომი თითო.	1	—
იგივე IV ტომი კარგ ქაღალდზე	1	50
ი. ჭავჭავაძის I ტომი	—	70
იგივე II და III ტომი თითო	—	60
იგივე IV ტ. ორ წიგნად	—	80
სოფლის კუნწულა, დ. მაჩხანელისა.	—	10
სიბრძნე-სიცრუე—საბა სულხან ორბელიანისა	—	40
აკაკი წერეთლის I და II ტომი თითო.	—	60
რაფ. ერისთავის I ტომი	—	60
საქართველოს წარსული დრო—პოტტოსი	—	20
სამზარეულო, ქართულ და ევროპიულ საჭმელებისა	1	20
აივენგო, რომანი—ვალტერ სკოტისა	—	50
სიბრძნე ბალავარისა	—	30
ადა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში	—	15

პროვინციელთ შეუძლიანთ წიგნები ფას-დადებით გაიწერონ, ხოლო გაწერილ წიგნების ფასის ერთი მესამედი პირველად უნდა წარმოადგინონ. მანეთზე ნაკლები ფული შეუძლიანთ ფოსტის მარკებით გამოგზავნონ. ფოსტის ადრესი: Тифлисъ, Грузинское Издательское Товарищество.

ესევე წიგნები იყიდება **ქუთაისში,** ქუთაისის წიგნების გამომცემელ ამხანაგობის კიოსკში, ბაღის ყურში.

იბეჭდება ახალი გამოცემა „წერა-კითხვის გამავრცელ საზოგადოებისა“

საქართველოს კალენდარი

ვალ. გუნიასი

რედაქცია ფილ. გოგიჩაიშვილისა.

კალენდარი შესწორებულია და შევსებული მრავალის ახალის ცნობებით. კალენდარში მოთავსებული იქნება სხვა-და-სხვა სამეცნიერო წერილი და სალიტერატურო განყოფილება. კალენდარი წინანდებურად დასურათებული იქნება.

მიიღება განცხადებები კალენდარში დასაბეჭდად

წიგნის თავში—1 გვ.—10 მან., ნახევარ გვ.—6 მან. წიგნის ბოლოში—1 გვ.—6 მან., ნახევ. გვ.—4 მან.

განცხადება მიიღება: ტფილისში—საზოგადოების კანცელარიაში (Общество грамотности), ქუთაისში—ვ. ბექანეიშვილთან და მიტრ. ლაღიძესთან, ბათუმში—მათე ნიკოლაძესთან და სპ. ჭელიძესთან.

იბეჭდება იმავე „საზოგადოების“ გამოცემა

კედლის კალენდარი

კალენდარი იქნება დიდის ფორმატისა. წინა გვერდზე, გარდა საეკლესიო ცნობებისა, აღნიშნული იქნება ისტორიული მოვლენანი; უკანა გვერდზე მოყვანილი იქნება გამოჩენილ პირთა აზრები, ლექსთა ნაწყვეტები, ისტორიულ-ბიოგრაფიული და სხვა გამოსადეგი ცნობები. (10—6.—6)

Дозв. ценз. Тифлисъ, 8 Октября 1903 г. ელექტრონის სტამბა წიგნ. გამ. ქართ. ამხ. (Электропеч. Груз. Издат. Т—ва).